

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 13 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 14.05.2021 წ.

ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგია

მუხლი 1. მიზანი

ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის (შემდგომში – მეთოდოლოგია) მიზანია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე, „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების საფასურის გაანგარიშების წესისა და პრინციპების განსაზღვრა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ბაზრის ოპერატორი** – ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორი, რომელსაც მეთოდოლოგიის საფუძველზე უდგინდება ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების საფასური;

ბ) **საბაზისო წელი** – ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასურის გაანგარიშების წლის წინა კალენდარული წელი;

გ) **მომსახურების საფასური** – ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების საფასური.

2. მეთოდოლოგიაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიით.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

1. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს გამჭვირვალე, სტაბილური და სამართლიანი მომსახურების საფასურის დაწესებას და ხელს უწყობს ბაზრის ოპერატორის სტაბილურ და საიმედო ფუნქციონირებას.
2. მომსახურების საფასური იანგარიშება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე.

მუხლი 4. სატარიფო რეგულირების პერიოდი

1. სატარიფო რეგულირების პერიოდი განისაზღვრება 1 კალენდარული წლით.
2. კომისია მომსახურების საფასურს ადგენს სრული სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის, ხოლო მომსახურების საფასურის კორექტირება ხორციელდება მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მუხლი 5. რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შესაბამისი სატარიფო წლისთვის

კომისია ყოველი სატარიფო წლისთვის განსაზღვრავს ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზას, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RCB_{t+1} = D_{t+1} + OPEX_{t+1} + RP + WCC_{t+1} + TVCORR_{t+1} \quad (1)$$

სადაც:

RCB_{t+1}	- ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის (ლარი);
D_{t+1}	- ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი აქტივების ცვეთის ხარჯი სატარიფო წლისთვის (ლარი);
$OPEX_{t+1}$	- ბაზრის ოპერატორის საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);
RP	- გონივრული მოგება, რომელსაც საოპერაციო დანახარჯებზე პროცენტის სახით განსაზღვრავს კომისია 10%-ის ოდენობით.
WCC_{t+1}	- საბრუნავი კაპიტალის საპროცენტო ხარჯი სატარიფო წლისთვის (ლარი);
$TVCORR_{t+1}$	- დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი, რომელიც გაიანგარიშება კომისიის მიერ დამტკიცებული ელექტროენერჯის გადაცემის

განაწილების და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიით განსაზღვრული კორექტირების პრინციპების შესაბამისად (ლარი).
--

მუხლი 6. საოპერაციო დანახარჯები

1. ბაზრის ოპერატორის მომსახურების საოპერაციო დანახარჯებმა უნდა უზრუნველყოს საწარმოსათვის შესაბამის რეგულირებულ საქმიანობაზე გასაწევი დანახარჯების ანაზღაურება.
2. სატარიფო წლის მომსახურების საფასურის გაანგარიშებისას გაითვალისწინება საბაზისო წლის ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც დასაბუთებული, გონივრული და სამართლიანია.
3. კომისია უფლებამოსილია, სატარიფო რეგულირების პერიოდის მომსახურების საფასურის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს საპროგნოზო მონაცემები, რომლებსაც მიიჩნევს დასაბუთებულად, გონივრულად და სამართლიანად.

მუხლი 7. რეგულირებადი აქტივების ცვეთის ხარჯი

1. რეგულირებადი აქტივების ცვეთის ხარჯი იანგარიშება ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი აქტივების ბაზაზე დაყრდნობით.
2. რეგულირებადი აქტივის საწყისი ღირებულება განისაზღვრება აქტივის თვითღირებულებით.
3. რეგულირებად აქტივებთან დაკავშირებით გამოიყენება ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდით განსაზღვრული, აქტივის ექსპლუატაციაში შესვლის წლისათვის მოქმედი, კომისიის მიერ დამტკიცებული სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები.

მუხლი 8. საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო ხარჯი

კომისია სატარიფო წლისთვის განსაზღვრავს ბაზრის ოპერატორის საოპერაციო დანახარჯების შესაბამისი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო ხარჯს, რომელიც იანგარიშება საწარმოს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღეებს შორის არსებული განსხვავების გათვალისწინებით.

მუხლი 9. ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური

1. ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური, რომელსაც ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზრის თითოეული მონაწილე იხდის ყოველწლიურად, ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე დაშვების მიზნით, იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{DAF} = \frac{RCB_{DAF(t+1)}}{N_p} \quad (2),$$

სადაც:

T_{DAF}	-	ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე დაშვებისთვის სატარიფო წლის განმავლობაში (ლარი/წელი);
$RCB_{DAF(t+1)}$	-	სატარიფო წლისთვის ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ის ნაწილი, რომელიც კომისიამ მიაკუთვნა ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზრებზე ელექტროენერჯით ვაჭრობის მზადყოფნასთან დაკავშირებულ დანახარჯებს (ლარი);
N_p	-	ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა სატარიფო წლისთვის.

2. ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური, რომელსაც ელექტროენერჯის დღიური ბაზრის თითოეული მონაწილე იხდის ყოველწლიურად, ელექტროენერჯის დღიურ ბაზარზე დაშვების მიზნით, იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{IAF} = \frac{RCB_{IAF(t+1)}}{N_p} \quad (3),$$

სადაც:

T_{IAF}	-	ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური ელექტროენერჯის დღიურ ბაზარზე დაშვებისთვის სატარიფო წლის განმავლობაში (ლარი/წელი);
$RCB_{IAF(t+1)}$	-	სატარიფო წლისთვის ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ის ნაწილი, რომელიც კომისიამ მიაკუთვნა ელექტროენერჯის დღიურ ბაზრებზე ელექტროენერჯით ვაჭრობის მზადყოფნასთან დაკავშირებულ დანახარჯებს (ლარი);
N_p	-	ელექტროენერჯის დღიური ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა სატარიფო წლისთვის.

3. ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური სატარიფო წლისთვის, რომელსაც ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზრის თითოეული მონაწილე იხდის ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე მის მიერ ნავაჭრი ელექტროენერჯის ყოველი ერთეულისთვის, იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{DVT} = \frac{RCB_{DVT(t+1)}}{2 * E_{t+1}} \quad (4),$$

სადაც:

T_{DVT}	-	ბაზრის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების საფასური ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე ელექტროენერჯით ვაჭრობის უზრუნველყოფისთვის, სატარიფო წლისთვის (ლარი/მგვტ.სთ);
$RCB_{DVT(t+1)}$	-	სატარიფო წლისთვის ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ის ნაწილი, რომელიც კომისიამ მიაკუთვნა ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე ელექტროენერჯით ვაჭრობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ დანახარჯებს (ლარი);
E_{t+i}	-	ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის საპროგნოზო ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის, რომელიც იანგარიშება მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის შესაბამისად (მგვტ.სთ).

4. ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური სატარიფო წლისთვის, რომელსაც ელექტროენერჯის დღიური ბაზრის თითოეული მონაწილე იხდის ელექტროენერჯის დღიურ ბაზარზე მის მიერ ნავაჭრი ელექტროენერჯის ყოველი ერთეულისთვის, იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{IVT} = \frac{RCB_{IVT(t+1)}}{2 * E_{t+1}} \quad (5),$$

სადაც:

T_{IVT}	-	ბაზრის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების საფასური ელექტროენერჯის დღიურ ბაზარზე ელექტროენერჯით ვაჭრობის უზრუნველყოფისთვის, სატარიფო წლისთვის (ლარი/მგვტ.სთ);
$RCB_{IVT(t+1)}$	-	სატარიფო წლისთვის ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ის ნაწილი რომელიც კომისიამ მიაკუთვნა ელექტროენერჯის დღიურ ბაზარზე ელექტროენერჯით ვაჭრობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ დანახარჯებს (ლარი);
E_{t+i}	-	ელექტროენერჯის დღიურ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის საპროგნოზო ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის, რომელიც იანგარიშება მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის შესაბამისად (მგვტ.სთ).

5. კომისია სატარიფო წლისთვის ადგენს ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასურს დღით ადრე ბაზარზე დამატებითი პორტფელისთვის – T_{DAPF} , რომელსაც დღით ადრე ბაზრის მონაწილე იხდის ყოველწლიურად, დღით ადრე ბაზარზე ყოველი დამატებითი პორტფელის რეგისტრაციის შემთხვევაში.

6. კომისია სატარიფო წლისთვის ადგენს ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასურს დღიურ ბაზარზე დამატებითი პორტფელისთვის – T_{IAPF} , რომელსაც დღიური ბაზრის მონაწილე იხდის ყოველწლიურად, დღიურ ბაზარზე ყოველი დამატებითი პორტფელის რეგისტრაციის შემთხვევაში.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 24 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 25.06.2021 წ.

მუხლი 10. ელექტროენერჯის ოდენობა

ელექტროენერჯის დღით ადრე/დღიურ ბაზარზე გაყიდულ ელექტროენერჯის საპროგნოზო ოდენობის განსაზღვრისას, კომისია ხელმძღვანელს შემდეგი ფაქტორებით

- ა) სატარიფოწლებისთვის შემუშავებულ ელექტროენერჯის ბალნსები;
- ბ) ფაქტობრივი მონაცემები გასულ სატარიფო წლების განმავლობაში ელექტროენერჯის შესაბამის (დღით ადრე/დღიურ) ბაზარზე გაყიდულ ელექტროენერჯის მოცულობის შესახებ;
- გ) სხვა ნებისმიერი საპროგნოზო თუ ფაქტობრივი მონაცემი, რომელსაც კომისია მიიჩნევს მიზანშეწონილად

მუხლი 11. მომსახურების საფასურის კორექტირება

ბაზრის ოპერატორის ყოველ სატარიფოწლების პერიოდისთვის დადგენილ მომსახურების საფასური ექვემდებარება კორექტირებას ($TVCORR_{t+1}$) და ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

- ა) რეგულირებად აქტების ცვეთის ხარჯი;
- ბ) საოპერაციო დანახარჯები;
- გ) ელექტროენერჯის მოცულობა.

მუხლი 12. მომსახურების საფასურის დასადგენად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. მომსახურების საფასურის დადგენის მიზნით, ბაზრის ოპერატორი ვალდებულია, ტარიფის გაანგარიშების წელს, მეთოდოლოგიის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში კომისიას წარუდგინოს სატარიფო განაცხადი.
2. სატარიფო განაცხადის ფორმებსა და თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალს ამტკიცებს კომისია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. სატარიფო განაცხადთან ერთად ბაზრის ოპერატორმა კომისიას ასევე უნდა წარუდგინოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი და აუდირებული ფინანსური ანგარიშგება.
4. იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის ოპერატორს არ გააჩნია საბაზისო წლის მონაცემები, იგი უფლებამოსილია, სატარიფო განაცხადით წარმოადგინოს საპროგნოზო მონაცემები.
5. კომისია უფლებამოსილია, ბაზრის ოპერატორს მოსთხოვოს სხვა დამატებითი ინფორმაციის ან/და სხვადასხვა სახის დასკვნის წარმოდგენა, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს.
6. სატარიფო განაცხადისა და მასზე დართული მასალების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბაზრის ოპერატორს.

მუხლი 13. მომსახურების საფასურის დადგენის ვადები და პროცედურები

1. ბაზრის ოპერატორი ვალდებულია, კომისიაში სატარიფო განაცხადი წარადგინოს არაუგვიანეს ტარიფის გაანგარიშების წლის 4 ივლისისა. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ სატარიფო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღეს.
2. კომისია სატარიფო განაცხადის დამტკიცებულ ფორმასთან შესაბამისობას და მის სისრულეს განიხილავს სატარიფო განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
3. თუ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი არ შეესაბამება კომისიის მიერ განსაზღვრულ ფორმას ან წარმოდგენილია არასრულყოფილად, კომისია ბაზრის ოპერატორს ხარვეზის აღმოსაფხვრელად წერილობით განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა. ეს ვადა განმცხადებლის მოთხოვნით შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადით.
4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ბაზრის ოპერატორი კომისიაში არ წარმოადგენს მოთხოვნილ ინფორმაციას, კომისიის გადაწყვეტილებით სატარიფო განაცხადი რჩება განუხილველად.
5. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და თავისი ინიციატივით გადახედოს მომსახურების საფასურს. ამ შემთხვევაში ბაზრის ოპერატორის მიერ საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენის პირობები განისაზღვრება კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით.
6. სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების ან ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე.
7. სატარიფო განაცხადის განხილვა კომისიაში მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.
8. ბაზრის ოპერატორისთვის მომსახურების საფასურის დადგენამდე, კომისია უფლებამოსილია, მოაწყოს შეხვედრები ან/და საჯარო სხდომები დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

მეთოდოლოგიის საფუძველზე ბაზრის ოპერატორის პირველი სატარიფო რეგულირების დროს არ ვრცელდება სატარიფო განაცხადის წარმოდგენისთვის მეთოდოლოგიის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადა და კომისია უფლებამოსილია, მეთოდოლოგიის საფუძველზე ბაზრის ოპერატორისთვის დადგენილი მომსახურების საფასურის მოქმედების ვადა განსაზღვროს მიმდინარე რეგულირების პერიოდის ბოლომდე ან მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდის ჩათვლით